Erasmus+ უმაღლესი განათლების ექსპერტების სემინარი

"უმაღლესი და პროფესიული განათლება:

პარტნიორობა სოციო-ეკონომიკური განვითარებისათვის"

10-11 მარტი სტამბული, თურქეთი

სემინარს 27 ქვეყნის, ასევე EC, EACEA და ETF-ის წარმოამდგენლები ესწრებოდნენ. სემინარზე განხილული იყო პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების ურთიერთკავშირი, მათ წინაშე არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები ცალკეული ქვეყნებისა თუ მსოფლიოს სოციო-ეკონომიკურ განვითარებასა და მის საჭიროებებთან მიმართებაში. როგორც პლენარული, ასევე სამუშაო სესიები ეძღვნებოდა საკვანძო საკითხებს, როგორიცაა პროფესიული განათლების გამოწვევები, არსებული ტენდენციები და სხვა. განსაკუთრებული აქცენტები დაისვა ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების დაახლოებაზე, რაც მასწავლებელთა ტრენინგების, კონკურენტუნარიანი კურსდათვრებულებისა და ეროვნულ დონეზე სისტემის განვითარების მიზნით ქვეყნებს შორის თანამშრობლობის გამოცდილებითა და საუკეთესო მაგალითებით გამოიხატება.

საკუთრივ საქართველოსთვის, რომელმაც უკანასკნელი წლების მანძილზე ინტენსიური რეფორმები გაატარა, როგორც უმაღლესი ასევე პროფესიული განათლების კუთხით (შესაბამისი კვალიფიკაციების გათვალისწინებით), სასრგებლო იქნება სლოვენიისა და თურქეთის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება შუალედური კვალიდიკაციის საკითხის ირგვლივ, ისევე როგორც ისრაელისა და ნიდერლანდების სამეფოს გამოცდილება პროფესიული და უმაღლესი განათლების ურთიერთკავშირის კუთხით.

შესაბამისი ქვეყნების კოლეგებთან კომუნიკაციიის საშუალებით საქართველოს უწყებებს (პოლიტიკის გამტარებელი და აღმასრულებელი) შესაძლებლობა ეძლევათ დაგეგმონ და გადახედონ საკუთარი რეფორმების დღის წესრიგს.

შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი განათლების ექსპერტთა (HERE) განახლებული შემადგენლობის წარდგენა და მათთვის მოვალეობისისა და შესაძლებლობების გაცნობა. ღონისძიებაზე განხილული იყო ექსპერტთა ეთიკის კოდექსი და ახლადარჩეული ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეების ფუნქციები.

უმაღლესი განათლების ექსპერტების მუშაობას კოორდინაციას ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია გაუწევს. ბარსელონას უნივერსიტეტის ჯგუფმა, რომელიც ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციას წარმოადგენდა, გამოხატა სურვული 2016 წელს საერთაშორისო სემინარის თბილისში ორგანიზებასთან დაკავშირებით. ქართულმა ჯგუფმა თანხმობა განაცხადა განიხილოს აღნიშნული საკითხი და მოიძიოს უნივერსიტეტი, რომელიც ღონისძიებას უმასპინძლებს. რეგიონულ დონეზე საინტერესო და სასარგებლო სემინარების ორგანიზების მიზნით EUA-ს ჯგუფმა პარტნიორი ქვეყნებისაგან რეგიონული პრიორტეტების წარმოდგენა ითხოვა. ყურადღება დაეთმო საქართველოს უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით შესაბამისი სემინარების და აქტივობების შესაძლო საკვანძო საკითხების განხილვას, როგორიცაა მიზნობრივი სემინარები ან/და სასწავლო ვიზიტები ერთობლივი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე დოქტორანტების ხელმძღვანელობა და სადოქტორო განათლების საერთაშორისო ქსელის შექმნა. სწორედ საერთაშორისო კავშირების დამყარების მხრივ სემინარი განსაუთრებით სასარგებლო იყო.